

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 46

ქ.თბილისი

2021 წლის 11 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 11 მაისს. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის შ. თევზაძის საითინგი, ამა წლის 8 მაისს, დიდი 10-ს მატჩზე, ბოლნისის „ყოჩები“-სა და კიკეთის „იუნკერები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე ლევან გოგოლაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება და მატჩის მთავარი მსაჯის მიმართ არაეთიკური საქციელი.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1, 2.2.4 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე ლევან გოგოლაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 11 ივნისამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/